კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ნებისმიერი მიზნობრივობით. ძირითადად კომპანია სესხებს გასცემს ლარში 3 თვიდან 2 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 24 პროცენტიდან 72 პროცენტამდე (2016 წელს გაცემული სესხებისთვის). დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები გვხვდება სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია ავტომობილით, თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
სამომხმარებლო სესხი		29,978	73,518
ბიზნეს სესხი		480,000	275,000
დარიცხული პროცენტი		18,184	7,547
მთლიანი გაცემული სესხები	7.1	528,162	356,065
<i>ძინუს: გაუფასურების რეზერვი</i>	7.4	(26,498)	(52,213)
ნეტო პორტფელი		501,664	303,851

7.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით

		31-დეკ-18	31-დეკ-17
სესხის ძირი	7.2; 7.3; 7.4;	509,978	348,518
დარიცხული პროცენტი		18,184	7,547
მთლიანი სასესხო პორტფელი		528,162	356,065

7.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 წელზე ნაკლები	100,000	275,000
1-დან 3 წლამდე	386,022	60,427
3-დან 5 წლამდე	23,956	13,091
სულ გაცემული სესხის ძირი	509,978	348,518

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

7.3 უზრუნველყოფის ანალიზი

კომპანიის მიერ გაცემული სესხები ძირითადად უზრუნველყოფილია ავტომობილით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები):

	31-დეკ-18		31-დეკ-17	
	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *
სამომხმარებლო სესხი	29,978	64,755	73,518	162,142
ბიზნეს სესხი	480,000	-	275,000	-
სულ	509,978	64,755	348,518	162,142

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი

მენეჯმენტს მიზანშეწონილად მიაჩნია სესხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობის და უზრუნველყოფის მიხედვით საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა. ამასთან მენეჯმენტი ითვალისწინებს სესხის გადაგრძელებებს, კერძოდ, თუკი სესხი წელიწადში გადაგრძელებულია 2-ჯერ ან მეტჯერ რეზერვი იქნება 100%-ით, ამასთან გაითვალისწინება სესხის უზრუნველყოფის ღირებულებაც. ამ რეზერვის დეტალები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	რეზერვის %	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	0%	485,422	-
30-60	10%	2,945	803
120-150	30%-50%	6,343	4,952
150-180	50%-100%	3,543	2,677
<180	100%	29,908	18,067
სულ		528,162	26,498

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 გაცემული სესხები (გაგრძელება)
 7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	რეზერვის %	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	0%	292,012	-
30-60	10%	11,187	1,109
90-120	30%	1,684	505
<180	100%	51,182	50,599
სულ		356,065	52,213

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის	(52,213)	-
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	(40,866)	(52,213)
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	66,581	-
გადაფასების შედეგი	-	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(26,498)	(52,213)

შენიშვნა 8 სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
მიღებული ავანსები	1,021	1,789
გადასახდელი მოგების გადასახადი	656	10,530
პროგრამული უზრუნველყოფის ვალდებულება	-	59
	1,677	12,378

შენიშვნა 9 სხვა აქტივები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
გადახდილი ავანსები	685	-
მოგების მიმდინარე გადასახადი	10,530	-
	11,215	-

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 მიღებული სესხები

კომპანიამ 2018 წელს წინსწრებით დაფარა 2017 წელს დაკავშირებული მხარისგან, კერძოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრისგან მიღებული 110,000 ლარიანი სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 18% და საკონტრაქტო ვადა 5 წელს.

შენიშვნა 11 საწესდებო კაპიტალი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში კომპანიის წესდების თანახმად. დამტკიცებული და განაღდებული საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 500,000 ლარს.

შენიშვნა 12 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
იჯარის ხარჯი	22,864	19,151
პერსონალის ხარჯები	16,500	13,750
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	7,243	-
პროგრამული მომსახურება	720	1,630
საბანკო ხარჯი	487	310
სხვა საერთო ხარჯები	435	411
სულ	48,249	35,251

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა

13.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები - კომპანიის მიერ სესხების გაცემა და სესხის მიღება ძირითადად ზღბა ლარში, თუმცა კომპანიის სასესხო პორტფელში ფიქსირდება დოლარში გაცემული სესხებიც. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისთვის.

მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს, იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს. კომპანია სესხს ძირითადად გასცემს ლარში და ამიტომ თავადაც სესხებს ძირითადად იღებს ლარში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

13.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისათვის					
	1 დოლარი = 1 ევრო = 2.6766 ლარს 3.0701 ლარს				
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,462	17,195	-	-	36,657
გაცემული სესხები (წმინდა)	457,241	44,422	-	-	501,664
სულ	476,703	61,617	-	-	538,321
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	1,483	194	-	-	1,677
სულ	1,483	194	-	-	1,677
წმინდა სავალუტო პოზიცია	475,220	61,423	-	-	536,643
2017 წლის 31 დეკემბრისათვის					
	1 დოლარი = 1 ევრო = 2.5922 ლარს 3.1044 ლარს				
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,011	62,734	-	-	75,745
გაცემული სესხები (წმინდა)	277,538	26,313	-	-	303,851
სულ	290,549	89,047	-	-	379,596
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	110,000	-	-	-	110,000
სხვა ვალდებულებები	12,378	-	-	-	12,378
სულ	122,378	-	-	-	122,378
წმინდა სავალუტო პოზიცია	168,171	89,047	-	-	257,218

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

13.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	36,658	-	-	-	36,658
გაცემული სესხები (წმინდა)	-	-	-	-	-
სულ	36,658	-	-	-	36,658
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	1,677	-	-	-	1,677
სულ	1,677	-	-	-	1,677
ლიკვიდურობის სხვაობა	34,981	-	-	-	34,981

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

13.2 ლიკვიდურობის რისკი

2017 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	75,745	-	-	-	75,745
გაცემული სესხები (წმინდა)	277,538	25,846	468	-	303,851
სულ	353,283	25,846	468	-	379,596
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	110,000	-	110,000
სხვა ვალდებულებები	12,378	-	-	-	12,378
სულ	12,378	-	110,000	-	122,378
ლიკვიდურობის სხვაობა	340,905	25,846	(109,532)	-	257,218

13.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

13.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	36,658	75,745
გაცემული სესხები (წმინდა)	501,664	303,851
სულ	538,321	379,596

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესიო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს.

შენიშვნა 14 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

14.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

შენიშვნა 14 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

14.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

14.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ

დონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 15 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	გადახდილი დივიდენდი	დაფარული სესხი	მიღებული სესხი	გადახდილი პროცენტი
მეწილეები	30,000	110,000	-	13,704
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები		-	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები		-	-	-
სულ	30,000	110,000	-	13,704

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წელი	საიჯარო ხარჯი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	-	13,704	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	7,500
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	3,000
სულ	-	13,704	10,500

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	მიღებული სესხი	გადახდილი პროცენტი
მეწილეები	110,000	13,051
სულ	110,000	13,051

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელი	საიჯარო ხარჯი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	-	13,738	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	6,250
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	2,500
სულ	-	13,738	8,750

შენიშვნა 16 სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შენიშვნა 17 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 3 აპრილს კომპანიის 100% წილის მფლობელ კომპანიაში "შპს ტექნო ჯგუფში" განხორციელდა მესაკუთრეების ცვლილება, კერძოდ : ლევან ბერიძემ (10%) გამოისყიდა პაატა ჯანაშიას (10%) წილი საწესდებო კაპიტალში.

2019 წელს კომპანიას შეეცვალა სახელი შპს "კროს კრედიტი"-დან შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტ"-ზე.

კომპანიამ აიღო სესხი დამფუძნებელი კომპანიისგან (შპს "ტექნო ჯგუფი ჯგუფისგან") 1,650,000 ლარის ოდენობით.

ბალანსის თარიღის შემდგომ დამატებით აღგული არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტის პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 10 ივნისს, რომელიც მოიცავდა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე

17 დეკემბერი 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტის პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 10 ივნისს, რომელიც მოიცავდა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხედრადია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.


მიხეილ აბაიაძე

17 დეკემბერი 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კროს კრედიტი“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2018



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

სარჩევი

კომპანიის განვითარების გეგმები.....	3
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	4
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	6
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	6
საკუთარი აქციების შესახებ ინფორმაცია.....	7
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	7
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	8
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	8



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

კომპანიის განვითარების გეგმები

2019-2020 წლისთვის დაგეგმილი გვაქვს ბიზნესის ზრდის და შემდგომი განვითარების სტრატეგია განვახორციელოთ შემდეგი მიმართულებებით:

- მარკეტინგული არხების განვითარება - ახალი სერვის-ცენტრების დამატება
- პროდუქტების დივერსიფიკაცია
- დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა
- ბაზრის კვლევების ჩატარება რამდენიმე მიმართულებით

მარკეტინგული არხების განვითარება - ახალი სერვის-ცენტრების დამატება

მიმდინარე წელს კომპანიის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენდა ფილიალების სიმცირე, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ახალი მომხმარებლის მოზიდვაზე და ართულებს მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების შენარჩუნებას. მომავალი წლის განმავლობაში, იგეგმება ფილიალების დამატება, როგორც თბილისში ისე ქუთაისსა და ბათუმში.

ამასთან ერთად, 2020 წელს დაგეგმილია ვებ ვერდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული სასესხო განაცხადების მიღებას. აღნიშნული სერვისი, ჩვენი გათვლებით, გაზრდის სესხზე მომართვიანობას 30 %-ის ფარგლებში.

მარკეტინგული არხების განვითარების პროცესში, ვაპირებთ აქტიურად ჩავრთოთ გაყიდვების აგენტების მობილური ჯგუფები, რომლებიც პოტენციურ კლიენტებზე განახორციელებენ ჩვენი პროდუქტების შეთავაზებას და განაცხადების შევსებას მათ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე.

მომდევნო წლის წარმატებული სარეკლამო კამპანიის მოსამზადებლად განვახორციელოთ კომპანიის მიერ მიმდინარე ეტაპზე გამოყენებული სარეკლამო არხების (რადიო, ინტერნეტ რეკლამა, ბეჭდითი სარეკლამო მასალების გავრცელება, სოციალური მედია) ეფექტურობის დათვლა, რის მიხედვითაც მოვახდენთ 2020 წლის სარეკლამო ბიუჯეტის გადანაწილებას არხების მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაყიდვების 15% ე.წ. word-of-mouth-ზე (არსებული მსესხებლების რეკომენდაციებით მოსული ახალი კლიენტები). სწორედ ამიტომ, კომპანიას 2020 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტულ ამოცანად ისახავს სერვისის ხარისხის კიდევ უფრო მეტად დახვეწას.

გაყიდვების სტიმულირების თვალსაზრისით ჩაფიქრებული გვაქვს პერიოდული აქციები, რომლის ფარგლებშიც გაყიდვების აგენტები, სატელეფონო არხებით, პოტენციურ მსესხებლებს, შესთავაზებენ სახვადსხვა ტიპის სასესხო პროდუქტებს.

კონკრეტული ფილიალების რაოდენობა და სასესხო პორტფელის ზრდის ოდენობა, დამოკიდებულია მოზიდულ სახსრებზე.

პროდუქტების დივერსიფიკაცია

2020 წლიდან დაგეგმილი გვაქვს პროდუქტების დივერსიფიკაცია. კერძოდ ჩვენს მომხმარებლებს ავტო სესხების პარალელურად შევთავაზებთ შემდეგი ტიპის პროდუქტებს:

- ბიზნეს სესხებს არსებული ბიზნესის მხარდასაჭერად
- სამომხმარებლო სესხებს
- სავალუტო ოპერაციებს
- ფულადი გზავნილები
- კომუნალური გადახდები

ინვესტიციების მოზიდვა

ბიზნესის ზრდისა და განვითარების მასშტაბები ძირეულადაა დამოკიდებული მომავალი წლისთვის მოსაზიდი ინვესტიციების მოცულობაზე. ამ მიზნით კომპანიას დაგეგმილი აქვს მოლაპარაკებები აწარმოოს ორი მიმართულებით:

- უცხოური საინვესტიციო კომპანიების და საფინანსო ფონდების დაბალპროცენტიანი რესურსის მოსაზიდად, რაც დაგვეხმარება კონკურენტუნარიანი ბიზნეს და სხვა ტიპის სესხების გაცემაში
- ადგილობრივი ბანკების საკრედიტო ხაზების მოსაპოვებლად, რაც გათვლილი იქნება სამომხმარებლო ტიპის სესხების დასაფინანსებლად

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას 2018 წელს ჩატარებული აქვს ბაზრის კვლევა რამდენიმე მიმართულებით. 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ბაზარზე არსებული კონკურენციის შესწავლა და „კროს კრედიტის“ საბაზრო პოზიციონირების და მიზნობრივი ჯგუფების სწორად განსაზღვრა.

თავდაპირველად ჩატარდა კვლევა მიზნობრივი სეგმენტის განსაზღვრად.

არსებული რეალობიდან გამომდინარე ჩვენი მიზნობრივი ბაზარი პირობითად დავყავით სამ სეგმენტად:

- **I სეგმენტი** - მომხმარებლები, რომელთათვისაც გადამწყვეტი იყო სესხის სწრაფი (ერთ დღეში) და მარტივი პროცედურებით მიღება და ამისთვის მზად იყვნენ გადაიხადონ საბანკო საპროცენტო განაკვეთებზე უფრო მეტი. ამ კატეგორიაში ძირითადად შედიოდნენ მცირე და საშუალო შემოსავლის მქონე პირები, რომელთა უმრავლესობა უკვე სარგებლობდა საბანკო კრედიტით, მაგრამ საბანკო პროცედურებიდან გამომდინარე ან უარი ეთქვათ სესხის დამატებაზე, ან ბანკი მათთვის სასურველ ვადებში ვერ უზრუნველყოფდა ამ თანხის გაცემას. გათვლებიდან გამომდინარე ამ კატეგორიის მომხმარებლები წარმოადგენდნენ ჩვენი კომპანიისთვის ყველაზე უფრო მომგებიან და ლოიალურ სეგმენტს.
- **II სეგმენტი** - პირები, რომლებსაც იმ დროისთვის მაღალ პროცენტებში (თვეში 5-10%) ქონდათ ნასესხები სახსრები ფიზიკური ან სხვადასხვა ტიპის იურიდიული პირებისგან. ეს სეგმენტიც საკმაოდ მაღალი რისკის შემცველ კატეგორიაში



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50
შევიყვანეთ.

- **III სეგმენტი** - პირები, რომელთაც გააჩნდათ ყოველთვიური სტაბილური შემოსავლები ხელფასი, დივიდენდები, იჯარა, ფულადი გზავნილები და სხვადასხვა სამომხმარებლო მიზნით ესაჭიროებოდათ მცირე თანხები. ამ სეგმენტს შეეძლო კომპანიისთვის შეექმნა ყველაზე უფრო სტაბილური პორტფელი და შედარებით დაბალი რისკიანობით.

ამ კვლევის შედეგად ჩვენ შევიძუშავეთ თითოეული სეგმენტისთვის ინდივიდუალური მიდგომები და შევქმენით მათთვის ყველაზე უფრო მორგებული საკრედიტო პროდუქტები დაპირობები.

მეორე კვლევის მიზანი იყო „კროს კრედიტის“ კონკურენტუნარიანობის დადგენა.

ამ მიზნით კვლევის ფარგლებში საქართველოში იმ დროს მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები პირობითად დავყავით ორ დიდ ჯგუფად:

1. ორგანიზაციები, რომელთა დამფუძნებლებიც არიან უცხოური ჰუმანიტარული /დონორი ინსტიტუტები და რომელთა მიზანია ბიზნეს მიკრო-სესხების გაცემის გზით ეკონომიკის სტიმულირება.
2. ორგანიზაციები, რომელთა დამფუძნებლებიც არიან კერძო პირები ან საფინანსო ჯგუფები და რომელნიც ეწევიან, როგორც სალომბარდო (ანუ გირაოზე მიმბმული) სესხების გაცემას ასევე ბიზნეს სესხებს მოგების მიღების მიზნით.

კვლევის მიზანი იყო ამ ბაზარზე არსებული კომპანიების პროდუქტების და მიზნობრივი კლიენტების ქცევების შესწავლა.

ჩვენი კომპანიის დამფუძნებლების მიზნებიდან და საკრედიტო რესურსის წყაროებიდან გამომდინარე ჩვენი თავი მივაკუთვნეთ პირობითად განსაზღვრულ „მეორე ტიპის“ ჯგუფს, რომლის უმსხვილესი წარმომადგენელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყო: ბი.აი.ჯი, სვის კაპიტალი, ევრო კრედიტი და სხვა. ამ ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი მიმართულება იყო ლომბარდული ტიპის დაკრედიტება, რომლის დროსაც საკრედიტო რისკი ბალანსდება მხოლოდ მსესხებლის ქონებით (რომელიც ღირებულებაში რამდენჯერმე უნდა აღემატებოდეს სესხის თანხას) და ნაკლებად გაითვალისწინება მსესხებლის შემოსავლები.

ამავე ჯგუფის ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ლომბარდები, რომელთა საკრედიტო პორტფელის 70% შეადგენდა ოქროს სალომბარდო სესხებს ხოლო დანარჩენი 30% ბინების, ავტომანქანების და სხვადასხვა ტიპის ტექნიკის უზრუნველყოფის ქვეშ გაცემულ სესხებს.

„კროს კრედიტის“ მიერ განსაზღვრული საკრედიტო პოლიტიკის, სტანდარტების და იმ დროისთვის არსებული სამომავლო მიზნების თვალსაზრისით ჩვენი კომპანია შევიყვანეთ



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

მეორე ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯგუფში და, შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე მის ძირითად კონკურენტებად სწორედ ამ ჯგუფში შემავალი კომპანიები მოიაზრებოდა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ჩვენ წარმოდგენა შეგვექმნა ჩვენი კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და დაიგეგმა და განხორციელდა ისეთი მარკეტინგული ღონისძიებები, რომლებმაც შეუნარჩუნეს ჩვენს კომპანიას ბაზარზე სტაბილურად ოპერირების პირობები.

მესამე კვლევის მიზანი იყო ჩვენს მიერ გამოყენებული მარკეტინგული არხების(რადიო რეკლამა, ინტერნეტ რეკლამა, ბანერები, დაქირავებული გაყიდვების აგენტები და ა.შ) ე.წ მარკეტინგული ROI-ის დათვლა. კვლევის შედეგად ჩვენგამოვავლინეთ თითოეული არხის წილი საერთო გაყიდვებში, რაც დაგვხმარა ყველაზე ეფექტური მარკეტინგული არხების დადგენაში.

ფინანსთა სამინისტროს და სეზ-ის მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე ჩვენ ველით ბაზარზე გარკვეული ტიპის ცვლილებებს, როგორც ბაზრის მონაწილე სუბიექტების საქმიანობაში, ასევე მომხმარებელთა ქცევების ნაწილში. შესაბამისად, ჩვენი კომპანიის დღის წესრიგში დგას 2020 წლის I კვარტლის ბოლოს, ან II კვარტლის განმავლობაში ახალი კვლევების ჩატარება, რომელებიც დაგვხმარება ახალი სტრატეგიის დასაკრედიტო პოლიტიკის შემუშავებაში, ახალი სექტორების განსაზღვრაში და საბანკო და სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პროდუქტებთან და სერვისებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი ალტერნატივების შექმნაში.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

მიმდინარე ეტაპზე კომპანიას მხოლოდ ერთი ფილიალი და სათაო ოფისი აქვს.

კლიენტთა მომსახურება წარმოებს ფილიალში. ფილიალში განთავსებულია საკრედიტო განყოფილება, საოპერაციო და სალაროს კვანძები, რომელთა მეშვეობითაც მიმდინარეობს მომხმარებლების მომსახურება. კლიენტების საკრედიტო განაცხადები მიიღება საკრედიტო განყოფილებაში, სადაც ხდება სესხების დამუშავება და უზრუნველყოფის დათვალიერება/დასურათება.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვად ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიის წინაშე დღემდე არსებული საბაზრო სეგმენტი და გამარტივებული პროცედურებიზუნებრივად ზრდიდა ბიზნეს და საკრედიტო რისკებს. აქედან გამომდინარე, დღემდე არსებულ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით შევქმენით ეფექტური იურიდიული პლატფორმა, დავადგინეთ ზღვრული სესხის მოცულობის და მათი უზრუნველყოფის საგნების ლიკვიდობის და შეფასების კრიტერიუმები.

მისოს მიერ აღებული საკრედიტო რისკის დონეებს განსაზღვრავს ერთი მსესხებლის ან



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

მსესხებელთა ჯგუფების მიხედვით აღებული რისკის მოცულობაზე დადგენილი ლიმიტები. დადგენილი ლიმიტები რეგულარულად მოწმდება მენეჯმენტის მიერ, რომელიც ახორციელებს ვადაგადაცდილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს.

მისოს რისკების მართვის დეპარტამენტი განიხილავს დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზს და ახორციელებს ვადაგადაცდილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს.

კომპანია სესხებს გასცემს მხოლოდ ლიკვიდური ქონების უზრუნველყოფის ქვეშ (გამონაკლისია მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებზე გაცემული სესხები, რომელთა ზღვრული მოცულობაც მკაცრად განსაზღვრულია). სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV) ყოველთვის გვერდითა ბაზარზე არსებულზე და ახალი რეგულაციებით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებელთან გაცილებით უფრო დაბალი და არ აჭარბებდა, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში 50%-ს. შესაბამისად, მაღალრისკიანი სესხების მოცულობა საკმაოდ უმნიშვნელოა საერთო პორტფელში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებულია (სესხის საშუალო მოცულობა შეადგენს 3000-5000 ლარს). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სესხების გაპრობლემების შემთხვევაში მომდინარე პოტენციური რისკები კომპანიას სრულად დაბალანსებული აქვს მაღალ-ლიკვიდურ უზრუნველყოფის საგნებზე მოთხოვნის უფლებით.

„კროს კრედიტი“-ის ვალდებულებების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სუბორდინირებულ ვალდებულებას. ნასესხები სახსრების 100% მოდის კომპანიის დამფუძნებლისგან მიღებული სესხების წილად. შესაბამისად ლიკვიდობიდან და ფულადი ნაკადებიდან მომდინარე რისკებიც სრულად დაბალანსებული გვაქვს. დამატებით ამისა, ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანიას აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები მკაცრად აქვს დარეგულირებული.

სავალუტო რისკის მართვის კუთხით მენეჯმენტს დაწესებული აქვს სავალუტო რისკის დონის ლიმიტები მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმე დღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

საკუთარი აქციების შესახებ ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაბამისად, არ გვაქვს გამოშვებული საკუთარი აქციები.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

ჩვენს ორგანიზაციას არ აქვს რთული ფინანსური სტრუქტურა და ოპერაციები, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული მონაცემები დამატებით განმარტებებს არ საჭიროებს.



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი ორგანიზაციის ძირითად ფინანსურ მაჩვენებელს წარმოადგენს კომპანიის წლიური წმინდა მოგება. მნიშვნელოვანია, რომ ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იყოს მზარდი, რაც ჯერჯერობით მიიღწევა. კომპანია 2017 წელს დაარსდა და წლიური წმინდა მოგება წლების მიხედვით შემდეგია:

- 2017 წელი - 7 218 ლარი;
- 2018 წელი - 70 641 ლარი.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ზრდა საკმაოდ კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი წარმატებული წელი იყო 2018 წელი და ვგეგმავთ, რომ 2019 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაზარდოთ.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №142/04 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების თანახმად კომპანიამ 2018 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო აქტივების კლასიფიკაცია და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნა. აღნიშნული ხელს უწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და მის გაცნობას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორების, მენეჯმენტის, აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. საზედამხედველო მიზნებიდან გამომდინარე, კომპანია განახორციელებს აქტივების კლასიფიკაციას რისკების გათვალისწინებით და შექმნის ადეკვატური რეზერვს შესაძლოდანაკარგების დასაფარავად. საკრედიტო რისკის მართვის მიზნით, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ზუსტი, სრული და მიმდინარე ინფორმაცია, მათ შორის აქტივების ხარისხის შესახებ ასახული იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე 2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედვიდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი. ამ წესის შესაბამისად ეროვნული ბანკი განახორციელებს კონტროლს ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა დამდგრადობის მიზნით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი და შეადგინა 1 000 000 ლარი. კომპანიას გადაწყვეტილი აქვს საწესდებო კაპიტალის გაცილებით მეტი თანხით შევსება, რაც იქნება კომპანიის ფინანსური სიძლიერის მყარი გარანტია, ასევე მოგვეცემს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის განეიტრალების საშუალებას. უზრუნველყოფილ იქნება კომპანიის კრედიტორთა ფულადი სახსრების შესაბამისი გამოყენების საიმედოობა, საქმიანობის რისკებით გამოწვეული შესაძლონეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. კომპანიას ეროვნული ბანკის მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე შესრულებილი აქვს და საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 000 000 ლარს.

დადებითი და უარყოფითი ფულადი ნაკადების დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

დირექტორი

გიორგი თავაძე

ბუღალტერი

ლუკა გეწაძე

თარიღი: 2019 წლის 17 დეკემბერი



შპს „კროს კრედიტი“, ს/კ 405185375

მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N 3-3ა, ბ. 50

მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

დირექტორი გიორგი თავაძე

ბუღალტერი ლუკა გეწაძე

თარიღი: 2019 წლის 17 დეკემბერი

